საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი
ჯანსულ ჩარკვიანი

ელადა

№8(269)
მაისი,
2014 წელი
გამოდის 2002
წლის დეკემბრიდან

Ελλάδα

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი

იუბილეს მიყვავლა გინაშვილს

55

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ რედაქცია, მისი მკითხველები, გულშემატკივრები, უგულწრფელესი სიყვარულით, მონატრებითა და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს.

თქვენი სტუმრობის დღეები ათენში და ის ლამაზი მონატრების შეხვედრები ჩირაღდანივით გვინთია ემიგრაციაში გადმოხვეწილ ქართველობას.

თქვენს კალამს, პოეზიას, თქვენს უფაქიზეს გრძნობას „ერის წყლულისა“, არაჩვეულებრივი ოჯახის დედაბოძობას თაყვანს ვცემთ, ვლოცავთ და... კვლავ გელოდებით ათენში, რათა თქვენებური კოცონი ავუგიზგიზოთ მუზას, სიყვარულს, მეგობრობას და შორს დარჩენილ, მაგრამ ძალიან ახლობელ და მონატრებულ საქართველოს.

ანა ყურშავიშვილი, „ელადელები“

* * *

ძნელია იყო ნამდვილად
მეუღლე, დედა, პოეტი,
გაუძღვე ნამდვილ კალმოსნებს
და ზოგსაც – მიეთ-მოეთის.
რა დედამ გშობათ – იხაროს,
მტერს კი დაევსოს თვალები,
ვისურვებ, ჩვენს ერს უმრავლოს
თქვენებრ ვაჟკაცი ქალები.
თქვენს მხარდაჭერას
მუდამ ვგრძნობთ
და შთაგონებით ვმაღლდებით,
ვკაზმავთ რა ამ ჩვენს პეგასებს,
თქვენს თანადგომით ვლაღდებით.
უცხოეთიდან მოვტირით,
მშობლიურ მიწას, მადლიანს,
ჩვენი სევდის მოზიარეს
გფარავდეს წმინდა მარიამ...

მირიან ზალოშვილი
ათენი



ლონგინოს ბორდანიდის:

კულტურა, რომელსაც კაცობრიობა უნდა ეთაყვანებოდეს, როგორც სიყვარულისა და მშვენიერების ჰიმნს, მასობრივად, ნარსულ და ანმყო რეალისტურ მოვლენებზეა აგებული...

20–21

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ემიგრანტების პრობლემებიც მოისმინა

3–4

„სიყვარულია ჯეშმარიტი, მარადიული...“

ცივილიზაციის, კულტურის განვითარების უთანასწორობა, გამწვავებული ეროვნული და პოლიტიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის ახალ თავსატეხს უჩენს დღეს მსოფლიოს. და ამ პირობებში, ქართველი ქალების დიდი ნაწილი საზღვარგარეთაა წამოსული, რომლებიც თავისი თავდაუზოგავი შრომით, ქვეყანას და ოჯახს ეხმარებიან, ამ მძიმე პირობებში, წერასაც ახერხებენ, მარტოობით განცდილი აზრების ფონზე, თავიანთ პირობებს აღწერენ, მათთვის არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, მონატრებულ საქართველოს და ოჯახებს ეფერებიან, ასე ქმნიან თავიანთ ემიგრანტულ ისტორიას.

წუთისოფლის ამ მძიმე სამყოფელში, როცა მარტო იმედით ცხოვრობ, იქნებ რაიმე შეიცვალოს უკეთესობისაკენ, რომ ცხოვრება უფრო ადვილი და საამური გახდეს, გადარჩეს სულიერი ფასეულობები, ურთიერთპატივისცემა გაჩნდეს ადამიანებს შორის, პირიქით ხდება, სწორედ ადამიანები არ ერიდებიან ერთმანეთის არც წყენას, არც ტკენას და არც დევნას, თითქოს ამ ქვეყანაზე მეორედ მოსვლის შესაძლებლობისთვის იბრძოდნენ ასე დაუნდობლად, და ამ ბრძოლაში ხშირად სხვის სიცოცხლესაც ხელყოფენ ხოლმე, რისი ნათელი მაგალითიცაა

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, უაზრო მტრობის საშინელი მაგალითები, რომელსაც ეწირება უდანაშაულო კაცობრიობის დიდი ნაწილი. გეჩვენება თითქოს, კარგი ადამიანები აღარ არიან, ან ნაკლებად არიან ამ ქვეყანაზე, მაგრამ, საბედნიეროდ, როცა ეს კარგი ადამიანები გამოჩნდებიან, ისინი შენს ცხოვრებაში ისეთი მშვენიერებით შემოდიან, რომ მათი სიკეთე და გამოხატული სითბო უამრავ სხვა ბოროტებას ჰფარავს, რომლებიც ნათელი ვარსკვლავებივით ანათებენ, მათი ეს ნათელი, გზას სხვებსაც უნათებს, უფრო ბედნიერს და სიცოცხლისუნარიანს ხდის. სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი სასიქადულო პოეტი ქალი, საყვარელი მაყვალა გონაშვილი. საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ქალები, კარგ პირობებში ცხოვრებით განებივრებულნი ნამდვილად არა ვართ, მაგრამ საყვედურს მაინც არ ვამბობთ, ნებიერად არც საქართველოში ცხოვრობენ დღეს ისინი. ღვთის ნებით და იმედით ვცხოვრობთ, როგორც ვახერხებთ.

ხშირად, მძიმე განსაცდელში მყოფნი, სიყვარულს, მოფერებას, თანაგრძნობას *მოთმინებით ველოდებით*, რომელიც ასე გვჭირდება ადამიანებს და რომელსაც ასე უხვად სცემს ხოლმე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი ჩვენი ემიგრაციის *მიმართ*. *მისი ყოველი* სტუმრობა ათენში უკვე მეგობრობის ზეიმად ქცეული შეხვედრებია და ეს მას ჩვენსავით ახარებს. სწორედ ესაა პოეტის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მხარე, ასე რომ ამშვენებს მას, სხვა მრავალ საუკეთესო თვისებასთან ერთად.

საბერძნეთში ქართველ დიასპორასთან შესახვედრად ჩამოსული მაყვალა გონაშვილი შემოხვევით გავიცანი. მასთან შეხვედრა ნამდვილად დიდი საჩუქარი იყო ჩემთვის. იშვიათად შეხვდებით ასეთი დადებითი თვისებების მქონე, კეთილშობილებით სავსე, ჭკვიან ადამიანს. თავისი სათნო ხასიათი ჩვენთან, ემიგრანტებთან ურთიერთობაში არაერთხელ გამოავლინა. აქ მცხოვრები და მოღვაწე ქალების დიდმა

გუნდმა, გულის ტკივილით შექმნილი, ნაფიქრალი და ქაღალდზე გადატანილი ჩანაწერები მას გავანდეთ და ისიც განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული სიფრთხილით და სიფაქიზით მოეყრო. მოგვეფერა, შესაძლებლობის ფარგლებში თანადგომას შეგვპირდა. არაერთხელ აღუნიშნავს თავის გამოსვლებში, რომ თითეული, ემიგრაციაში მყოფი ქალის ისტორია და დაწერილი ფურცელი, იგივე ემიგრაციის ისტორიაა, რომელსაც წლები უფრო აქტუალურს გახდის.

ჩვენც პრეტენზიები არაფერზე გვქონია, უბრალო თანაგრძნობა გვინდოდა, პოლიტიკოსების ჭიდილის გამო დაქცეული ქვეყნის გადასარჩენად წამოსულ მოუსვენარ, თავაუღებლად მშრომელ ქალებს.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც სხვისი ბედნიერებითაც შეუძლია იხაროს, ბედნიერია ის იმითაც, რომ სხვა უყვარს, სხვისი მოფერება შეუძლია და ცუდსაც შეუძლია კარგით უპასუხოს, ასეთი ქალბატონია მაყვალა გონაშვილი, რომელმაც, პოეზიისა და ლიტერატურის დიდ გზაზე ლამაზად მავალმა, მართალი სიტყვის საოცარმა ოსტატმა, თავი ლამაზი ურთიერთობებითაც შეგვაყვარა. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნო ის ყურადღება, რაც მან გამოიჩინა ჩემ მიმართ. ჩემი ლტოლვილი ბედი, ცხოვრების ამ მძიმე გზაზე, დიდი არჩევნის საშუალებას ნამდვილად არ მაძლევდა. საჭირო იყო თავი გადამერჩინა. წერა ბედის მწარე ტკივილმა დამაწყებინა, და ეს ჩემი მოგონებები, ქალბატონი მაყვალას მონდომებით და მწერალთა კავშირის თანადგომით, წიგნად მიქცეს და ლამაზი შეხვედრაც მომიწყეს. დიდი ბედნიერებაა, მაგრამ უზარმაზარი პასუხისმგებლობაც მათ წრეში ყოფნა.

2010 წელს საბერძნეთში საქართველოდან საპატიო მისიით ჩამოვიდა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მაყვალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თავჯდომარე, თბილისის მერიის კულტურის განყოფილების გამგე, შოთა მაღლაკელიძე და ნანა გიორგაძე. მათი სტუმრობით, ბედნიერი მოწმენი გავხდით დაუფასებელი ჯილდოსი, რომლითაც დაგვჯილდოვა თბილისის მერიამ, იმ წვლილისათვის, რასაც სამშობლოსა და ჩვენი ხალხის სიყვარული გვაკეთებინებდა.

ჩემს ცხოვრებას ნამდვილად ამშვენებს მასთან გატარებული ყოველი დღე, – მოგზაურობაში, სტუმრად თბილისში, ათენში, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ბედნიერებას და დიდ შემოქმედებით წინსვლას ვუსურვებ.

პატივისცემით, შორენა შენგელია

ბერძნულ-ქართული
კულტურული ასოციაცია და
ქართველ ემიგრანტთა
მომსახურების ცენტრი
მოკრძალებით და პატივისცემით
ულოცავენ იუბილეს საქართველოს
მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა
გონაშვილს და უცხადებენ მარადიულ
სიყვარულს და თანადგომას.
ათენი. 2014 წელი. მაისი